

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

კონსტანტინე განსახურდიას სამი წერილი აკაკი ჩხენკელისადმი (1919 წელი)

დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, 1918 წლის ივნისში, სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად, გაიგზავნა ევროპაში სასწავლებლად. მას უმაღლესი განათლება უკვე ჰქონდა მიღებული გერმანიაში და ამჟამად დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოპოვება სურდა, საამისოდ უნდა ჩაებარებინა გამოცდები, დაენერა და ბერლინის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოზე დაეცვა ნაშრომი. სადისერტაციო საკვლევ პრობლემად მან ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკა და გეორგიევსკის ტრაქტატი აიღო. ნაშრომი მაღალ დონეზე შესრულებულად ჩაუთვალა გერმანელ მეცნიერთა კომპეტენტურმა კომისიამ. საკვალიფიკაციო შრომის დაწერისა და დისერტაციის დაცვის პარალელურად, მწერალმა საქართველოს განათლების სამინისტროს პირადი დავალებაც შეასრულა: განათლების რეფორმისთვის საჭირო ცნობები შეკრიბა გერმანიის სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების შესახებ. ეს ვრცელი გამოკვლევა გერმანიის უნივერსიტეტებსა და სკოლებზე დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ [1, 231-234; 2, 30-31].

იმჟამად ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი, დაინტერესებული იყო ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზაციითაც. მას აღელვებდა ეს საკითხი იმდენად, რამდენადაც სომხური პროპაგანდა ქართული კულტურის ბევრ მოვლენას ითვისებდა და ევროპაში ყალბ ინფორმაციებს ავრცელებდა. გამსახურდიას სურდა ამ თემით ევროპელი მეცნიერებიც დაეინტერესებინა. კონსტანტინე გამსახურდიას ამ საკითხის მოსაგვარებლად საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა ესაჭიროებოდა, ამისთვის კი ყველაზე ღირსეულ თანამოაზრედ აკაკი ჩხენკელი მიაჩნდა. მისი სამი წერილი, რომელიც ბერლინიდან არის ჩხენკელთან გამოგზავნილი, სვამს აქტიურ პრობლემებს ქართული კულტურისა და სულიერების შემდგომი განვითარების, ევროპულ ქვეყნებში მისი ფართო პროპაგანდისა და ევროპეიზაციის კუთხით. მწერალი საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს თხოვს აგრეთვე სესხის სახით ფინანსურ დახმარებას სადოქტორო დისერტაციის წიგნად გამოცემაში.

ეს წერილები საინტერესოა, რადგან ისინი აქამდე არ გამოქვეყნებულა, სათანადო კომენტარები მათზე არ გაკეთებულა, თანაც, მათი საშუალებით დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ბიოგრაფიის ბევრ დღემდე უცნობ ფაქტს ვეცნობით.

„წერილი I

ბერლინი, 1919, 14, IV

საქართველოს დემოკრატი. რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას
ტფილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლის
კონსტანტინე განსახურდიას
თხოვნა:

1918 წლის ივნისს, ქართული გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, განათლების სამინისტრომ ნება დამართო ერთი წლით წამოვსულიყავ ბერლინის უნივერსიტეტში ფილ. დოქტორის ეგზამენის ჩასაბარებლად. გარდა ამისა, სამინისტრომ მომანდო, გერმანიის საშუალო ტიპის სკოლაზე მოხსენება დამეწერა, რისთვისაც შესაფერ დახმარებას მპირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტრო მიმოსვლის შეწყვეტის გამო მატერიალურად არ დამხმარებია, მოხსენება დავამზადე, ამავე წლის მაისის 15-ში დავიცავი ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის წინაშე ჩემ მიერ წარდგენილი დისერტაცია: საქართველოს მეფე ერეკლე II და სათანადო ეგზამენებიც დავიჭირე. ახლა გადავწყვიტე ამა წლის აგვისტოში ქართულ უნივერსიტეტს წარვუდგინო საჭაბილიტაციო შრომა პრივატ დოცენტის კათედრის მისაღებად. ამავე დროს, აგვისტოშივე უნდა განუცხადო განათლების სამინისტროს, რომ გიმნაზიის მასწავლებლობის თანამდებობაზე ხელს ვიღებ. როგორც მოგეხსენებათ, ასეთ შემთხვევაში, როცა მასწავლებელს სამსახურისათვის თავის დანებება უნდა, მან სათანადო დირექციას ეს უნდა აცნობოს სასწავლო წლის დასაწყისამდის. საქ. მთავრობის ბერლინელ წარმომადგენლისაგან გავიგე, რომ თქვენი ბრძანების თანახმად, მას ნება არა აქვს გერმანიაში დარჩენილი მოქალაქენი გააგზავნოს, ვიდრე მთავრობის მიერ დაქირავებული გემი წავა. რადგანაც გემი ჯერ ნაშოვნიც არ არის, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ საშუალებით მე კიდევ მინიმუმი სამი თვე უნდა ვიცადო აქ, ამიტომ ვთხოვ უმორჩილესად საქართველოს მთავრობის დელეგაციას, მომეცეს საშუალება სამშობლოში დაბრუნებისა, რასაც ჩემი სამსახური და ჩემი ოჯახური მდგომარეობა დაუყოვნებლივ მოითხოვს ჩემგან. იმედი მაქვს ამ თხოვნის პასუხს გადასცემთ ჩვენი მთავრობის ბერლინელ წარმომადგენელს ბატონ იაზონ ბაქრაძეს.

მიიღეთ ჩემი უღრმესი

პატივისცემა

კონსტანტინე გამსახურდია

ბერლინის უნივერსიტეტის ფილ. დოქტორი და თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრი“ [3, 36].

„წერილი II

1919 წელი, მაისის 23.

„ღრმად პატივცემულო ბატონო აკაკი!

კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ ყველაფერ იმას, რაც მე მწადიან ამ წერილით მოგახსენოთ. ევროპაში მუშაობის დროს თქვენ თვითონ დარწმუნდით ალბად, რომ როგორც ჩვენზე უხნიერეს, ისე ჩვენ თანამედროვე თაობას თითქმის არაფერი გაუკეთებია ქართული კულტურის ევროპაში გავრცელებისა ან პოპულარიზაციისათვის. ჩვენი უახლოესი მეზობელი სომხის ერი ამ შემთხვევაში გაცილებით მეტს აკეთებს ევროპაში. როდესაც ამ ომის დროს მომხდარ ხოცვა-ჟლეტამ ოსმალეთში დიდად შეაშფოთა თვით გერმანიის საზოგადოებრივი აზრი, ცნობილმა პროფესორებმა და მეცნიერებმა ამოიღეს ხმა „ქრისტიან კულტურულ სომეხთა“ დასაცავად. ამ მოკლე ხანში გამოვიდა პაულ როჰსბახის რედაქციით ერთი მოზრდილი კრებული „Die Armenien“. წიგნი შეიცავს მრავალ წერილსა და სურათებს სომხის ცხოვრებისა და მონუმენტალური კულტურის წრიდან. ამ კრებულშიაც, როგორც ყოველთვის, ჩვენ ან ჩვენს დედაქალაქს გამოჰკრეს კლანჭი სომეხებმა, როგორც ჩვეულებრივად. მე ვაპირებ ერთ-ერთ აქაურ ჟურნალში რამდენიმე საკითხზე პასუხი გავცე სომხის კალმოსნებს, მაგრამ ეს არა კმარა.

მე წინადაც აზრად მქონდა გერმანელ მეცნიერთა და მკვლევართა თანამშრომლობით დიდი კრებული გამომეცა გერმანიაში, მაგრამ უსახსრობა მაჩერებდა. დღეს ასეთი კრებული რომ შვეიცარიაში გამოიცეს, ეს დიდი საქმე იქნება. ამ დღეებში მოლაპარაკება მქონდა ბერლინის უნივერსიტეტის ცნობილ ორიენტალისტ – ბ. პროფ. ედუარდ მაიერთან, რომელსაც, სხვათა შორის, დავეკითხე, ასეთი ქართული კრებული რომ გამოიცეს, მიიღებს თუ არა მონაწილეობას, იგი სიამოვნებით დამეთანხმა. გარდა მაიერისა, მე პირადად ვიცნობ დიდ ორიენტალისტს, ქართული ენის მცოდნეს ფრიც ჰომელს (მიუნხენში) (მან მთელი თეორია შეიმუშავა ქართველთა და ძველ აღაროდიელთა ნათესაობის შესახებ). კარგად ვიცნობ აგრეთვე ლაიპციგის უნივ. პროფ. ქართული სახელმწიფო უფლების პროფესორს ფელიქს ჰოლდავს, რომელმაც ამ ორიოდე წლის წინად თავისი *Zwei Grundsteine aus der Georgischen Lxauhs und Rechts geschichte* დაწერა. ერთ დროს მიწერ-მოწერა მქონდა ვინიგსბერგელ პროფ. ბორკთან, რომელმაც 1914 წელს თავისი სიმპატიური თეზისები „*Das Georgische Volk*“ ლაიპციგში გამოაქვეყნა. ამ საქმეში შეიძ-

* აღაროდიელები – XIX ს-ს ზოგიერთ ევროპელ მეცნიერთა თვალსაზრისით, ძველი ურარტელები, რომლებიც ქართველურ ტომებთან იყვნენ ეთნიკური და ენობრივი ნათესაობით დაკავშირებულნი. ამაზე საუბრობს ილია ჭავჭავაძე „ქვათა ლაღადში“, ამავე თემაზე წერდნენ „ივერია“ და „დროება“.

ლება კაცმა დაიხმაროს მიუნხენის ეთნოგრაფიული მუზეუმის გამგე დირი, შემდეგ მკვლევარები: ჰუსსინცი, ბერლ. უნივ. პრივატ დოცენტი, ქართული ენის ლექტორი და საქართველოს დიდი მეგობარი დოქტორი რიჰარდ მეკელაინი. თუ თქვენ ამ იდეას სიმპატიით შეჰხვდებით, მე და დოქტორი მეკელაინი აქვე შევაგროვებდით ჩინებულ მასალას ქართული ისტორიის, ენათმეცნიერების, უფლების და ლიტერატურის შესახებ. მე ვფიქრობ, ამ შემთხვევაში შევიძლებ, რომ დიდი მეცნიერი ედუარდ მაიერი დავითანხმო, რომ მან თავისი სახელი მოგვცეს და საპატიო რედაქტორად გამოვიდეს.

150-200 გვერდი წიგნი რომ გამოვაქვეყნოთ, ეს დიდი საქმე იქნება. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ჯერ არ ვიცი, როგორ შეჰხვდავთ თქვენ ამ საქმეს, ან შეუძლია თუ არა დელეგაციას ამ საქმისთვის თანხის გაღება. ჰონორარს რაც შეეხება, მე ვფიქრობ, ედუარდ მაიერის გარდა, სხვას არავის დასჭირდება ალბად ჰონორარი. თქვენ იცით, რა მნიშვნელობა აქვს ევროპის საზოგადოებრივ აზრს და მერწმუნეთ, პატარა ბროშურებით ევროპაში ვერას გავხვდებით. რა თქმა უნდა, არც კაპიტალური შრომებია მიზანშეწონილი, მაგრამ ზემოთ მოხსენებული კრებული ჩვენ აქ დიდ სამსახურს გაგვინვეს. მართალი მოგახსენოთ, მე დიდი ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე ამ ბარათის თქვენდამი მოწერა, რადგან გამოცდილებამ დამარწმუნა, სამწუხაროდ, რომ სრულიად გავჩუმდე სჯობია, მაგრამ მაინც ვფიქრობ, ეგებ, ვინ იცის ეს წინადადება უნაყოფო გამოდგეს და საქმე გაკეთდეს მეთქი. ჩვენმა წარმომადგენლობამ რომ წიგნები დაუკვეთა, წინადადება მივეცი, ბ-ნ იაზონ ბაქრაძეს ჩემი გამოცდილებაც გამოეყენებია. ნ წელია, რაც გერმანიის წიგნების გამომცემლობას თვალს ვადევნებ, ძლიერ კარგად ვიცნობ ლაიპციგისა და ბერლინის წიგნების ბაზარს, ვიცი, რომელი თხზულების რომელი გამოცემაა გამოსადეგი, როგორ პირობებში, სად, რა გზით უნდა იშოვნოს კაცმა უნივერსიტეტისათვის ხელსაყრელი წიგნები და გამოცემები. მე მათი ჯილდო არ მინდოდა და ორდენი, მხოლოდ წინადადება მივეცი ისტორიაში და ფილოსოფიაში რას წარმოგიდგენთ, თუ მოგეწონათ კარგი, თუ არა და არც მაშინ ვითხოვდი რამეს. მე ვფიქრობდი, თუ ვიცოცხლე, ქართულ უნივერსიტეტში მომიხდება მუშაობა და ისეთ წიგნებს და გამოცემებს ვაყიდებდი მთავრობას, რაც ყოველ უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს.

დამეთანხმებით, დაქირავებულმა კომისიონერმა შეიძლება თვითონ არცკი იცოდეს, თუ რა წიგნებია, მაგალითად, ისტორიისთვის საჭირო, არც ტფილისიდან გამოგზავნილი სია გამოდგება, რადგან იქ

* საუბარია იმ ფაქტზე, როდესაც 1919 წელს, დამფუძნებელი კრების განათლებისა და კულტურის საპარლამენტო ფრაქციამ გერმანიაში პარლამენტისა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის შეუკვეთა სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა. სია შედგენილი იყო ექვთიმე თაყაიშვილის მიერ.

ევროპის ერების ისტორიის სპეციალისტი არავინ არაა. თუ მომავალში ევროპის ისტორიის კათედრა გვექნა, ყოვლად შეუძლებელია მაგ. Monumenta German. Historika ქართული უნივერსიტეტის ბიბლოთეკაში არ იქნეს და პროფ. ისტორია ისწავლებოდეს. არის აგრეთვე ახალი, სულ ორი წლის განმავლობაში გამოსული წყაროები, რომელიც ვინრო სპეციალისტების წრეების ან სპეც. აკადემიების მიერაა გამოცემული. მე კარგად ვიცნობდი როგორც ჩემ მასწავლებლებს, ბერლინის აკადემიის წევრებს, რომელნიც იაფად, სულ იაფად შემადენებდნენ აკადემიის გამოცემებს, უწყებებსა და სხვა. მაგრამ კაცმა ყური არ მათხოვა. მეორეჯერ თვითონ ბატონმა იაზონ ბაქრაძემ მიჩნია თქვენთვის მომემართა ჩემი დისერტაციის დაბეჭდვის შესახებ. მე არ ვიტყვი არაფერს ჩემი დისერტაციის სიკეთეებზე, მაგრამ ეს პირველი მაგალითი იყო, რომ ევროპაში ქართულ ისტორიაზე დაინერა. დისერტაციას ჰქვია – „საქართველოს მეფე ირაკლი მეორე“. უნდა დამებეჭდა 200 ცალი და ფაკულტეტისათვის გადმომეცა, გერმანიისა და შვეიცარიის ინსტიტუტებსაც დაურიგდებოდა. ეს თხზულება 3 ორდინალური პროფესორის კრიტიკისა და რეკომენდაციის წყალობით მიიღეს და მე მგონია, აქ მართო ჩემი ინტერესი კი არ იყო. თხზულება შეიცავს სურათს ქართული სამართლის, საქალაქო და სახელმწიფო წყობილებისა და აგრეთვე იმ ტრაქტატებს, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის შეიკრა 1658-დან 1898 წლამდის. როცა მივმართე ბატონ ბაქრაძეს*, რომ გამეგო წარმომადგენლობის გადაწყვეტილება, ჩემი შუამდგომლობის შესახებ, ასეთი პასუხი მივიღე: „ჩვენ დავადგინეთ, მოგეცეს ეს თანხა იმ პირობით, თუ დეკანის წერილს წარმოადგენ, რომ დისერტაციას დაბეჭდვა უნდაო“. აქვე გიგზავნით უნივერსიტეტის ფაკულტეტის სტატუტის ნაწილს. იხ. პარაგრაფი №1. რა თქმა უნდა, მე გამაოცა ასეთმა უნდობლობამ და ასეთმა ანალფაბეტურმა პასაჟმა. ჩვეს დეკანს, რომელსაც 10 ათასი სტუდენტის საქმე ხელში აქვს, მე ვერ მივმართავდი უაზრო წინადადებით: ერთი ხელწერილი დამინერეთ, რომ დისერტაციას დაბეჭდვა უნდა მეთქი. ამისათვის არსებობს სტატუტი, რომელზედაც ის მომითითებდა. რა თქმა უნდა, მე ბატონ იაზონის რჩევით, რაკი ერთხელ გავილანძღე თავი, მოგმართეთ და საელჩომ ასეთი პასუხი გამცა, ჩემ დეკანსაც, რომელსაც მე დიდად პატივს ვცემ, თავს არ გავალანძლიებდი. ამგვარად, სამწუხაროდ, მე ვერ ვისარგებლე მთავრობის დახმარებით, რომელიც სესხის სახით მინდოდა და არა საჩუქრად, რად-

*ბაქრაძე – იაზონ თომას ძე ბაქრაძე (1869-1937), ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების საზოგადო მოღვაწე, იურისტი, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარგზავნილი გერმანიაში, გიორგი ზდანოვიჩის ადვოკატი იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იაზონ ბაქრაძე სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დასამყარებლად გაიგზავნა გერმანიაში.

გან ზემოხსენებული დადგენილება ერთგვარი ზრდილობიანი პასუხი იყო. მე არ შემიძლია ჩემი უკმაყოფილება დავმალო, მაგრამ გთხოვთ ამ თავიდანვე ამის შესახებ ნურაფერს გამოიძევთ. 18 წლიდან ჩემ ქვეყანასა და ქართველ ხალხს ვემსახურები, კალმით, საქმით თუ ხმლით, რითაც შემძლება. შეიძლება მომავალმა აღიაროს, რომ ქართული მთავრობის წარმომადგენლისაგან ასეთი, სწორედ გითხრათ, უხამსი მოქცევა არ მერგებოდა, ისიც ისეთი კაცისაგან, რომელიც 10 წლის განმავლობაში კარგად მიცნობდა. ეს ყველაფერი გათავდა და თქვენი ჭირი წაუღია. რაც შეეხება იმ კრებულს, თუ თქვენ ეს აზრი მიზანშეწონილად და საჭიროდ ჩათვალთ, იმედია მომწერთ და მე აქედან გამოგიგზავნით ყოველივე მასალას. ჩემის მხრით და ჩემი მეგობრის ბ. დოქტორ მეკელაინის მხრით, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ მზად ვართ თვით კრებულის კორექტურაც უსასყიდლოთ ვიკისროთ. აგრეთვე მასალების შეგროვება და სხვა ყოველივე გარჯა, რომელიც ამ საქმისთვის საჭირო იქნება. რაც შეეხება სურათებს, აქ გვაქვს მრავალი თხზულება (კინიგლიხე ბიბლიოტეკში), სადაც ქართული ტაძრების, ორნამენტების და ისტორიული პირების სურათებია მოთავსებული. ყოველი პროფესორის თხზულება იქნება ჩვეულებრივ საჟურნალო წერილის ოდენა, ასე რომ, წიგნს მოსაწყენი ხასიათი არ ექნება. თუ არ გინდათ შვეიცარიაში გამოაცემინოთ, აქ მოველაპარაკები რომელიმე ცნობილ გამომცემლობას და აქ დავაბეჭდიოთ. თუ საშუალებას მთავრობა გაიღებს, შინაარსის მხრით, მერწმუნეთ, ეს კრებული ისეთი იქნება, რომ არც საქართველოს და არც ქართულ მთავრობას მისი გამოქვეყნება არ შერცხვება. იმედია, ამ მოკლე ხანში მიპასუხებთ ამ საქმის გამო.

მიიღეთ ჩემი უმდაბლესი სალამი და პატივისცემა
თქვენი ერთგული კონია გამსახურდია“ [3, 34-35].

წერილი III

„ბერლინი, 1919, 15 VI

ბატონო აკაკი!

მე კარგად არ ვიცი ვის კომპეტენციაში შედის ქვემდებარე შუამდგომლობაში აღძრული საკითხის გადაწყვეტა, ამიტომ თხოვნაში დელეგაციას მივმართე, ვინძლო ეს მართლაც დელეგაციას ეხება, იმედი მაქვს თქვენ ზომებს მიიღებთ, რომ ეს ნაწერი დელეგაციას გადაეცეს. თხოვნაში აღნიშნულ მდგომარეობას შემდეგი მინდა დავსძინო. კარგად მოგეხსენებათ ხელმოკლე ქართველი მაშვრალის მდგომარეობა. ჩემიც ასეთი იყო. ძლიერმა სურვილმა სწავლის დამთავრებისამ მთელი ოჯახი, მოხუცი დედა, ცოლი და 5 თვის გოგონა ღვთის ანაბარა დამატოვებინა. **ჯერ 1918 წლის იანვრიდან ივნისამდის ლაშქარში ვიყავ მოხალისედ, მაშინაც ვერ ვზრუნავდი სათანადოდ ჩემს კერძო ცხოვრებაზე, ივლისში გერმანიას წამოველ, არაადამიანური ჯაფა გადამწყდა, რათა რამენაირად მალე გამეთავებინა უნივერსიტეტი და სამშობლოში დაბრუნე-**

ზულ ვიყავ. 15 მაისიდან ვუცდი გემს, აგერ რამდენიმე თვეა გემს ეძებენ და ჯერ არავითარი იმედია, ერთ ორ თვეში კიდევ რომ იშოვონ, თვეზე მეტი ტყვეების მოგროვებასა და საქონლის ჩალაგებას მოუწყობდა. სამი თვის 3 ჯერ 700 მარკას რომ ცოტა რამ დაუმატონ, შეიძლება საგზაოდაც მიეყოს. გარდა ამისა, უზომო შრომითა და ცუდი პირობების წყალობით სავსებით დასუსტებული ვარ, აქ ვალი მედებოდა დღითი დღე, რადგან საშინელ სიძვირეში ეს დახმარება არას მშველის, თუ მასესხებენ გზის ფულს, ღმერთი რჯული, რაც უნდა გამიჭირდეს, როგორც ჩავალ, ვისესხებ სადმე იმ ფულს და გადაეუხნდი მთავრობას. ახლა ახალი სამსახურისა და ახალი თანამდებობისათვის ვემზადები და ყოველი თვე ძვირფასია ჩემთვის. **მე არ ვიცი, სხვა რაღაა ჩემი სამსახური, თუ არადა სამსახური ქართული მთავრობისა და ქართველი ხალხისადმი, რომლისთვისაც მთელი ჩემი ცოდნა და უნარი დღემდის შემოკრები.** ამ წერილს რომ ვწერდი, ჩემი კარგი ნაცნობი, აქაური პრივატ დოცენტი დოქტორი ნოიჰაუზი მენვია... მას დიდძალი ნაცნობები ჰყავს კოპენჰაგენის პოლიტიკურ და კომერციულ წრეებში, მას მიუწერია ჩემს შესახებ ერთ კოპენჰაგენელ სააქციონერო სანაოსნო საზოგადოების დირექტორისათვის, ბ. ფრიზისთვის წერილი, რომელშიც იგი ეკითხებოდა დირექტორ ფრიზს, ვინძლო მე კოპენჰაგენით წავიდოდი, მომიხერხებდა თუ არა რომელიმე დანიურ გემში კაიუტის შოვნას. ფრიზი ატყობინებს მას, რომ იგი ყოველ ღონეს იხმარს, რომ მე უახლოესი გემით გამაგზავნოს ბათუმს, სადაც ხსენებულ სააქციონერო საზოგადოებას წავთის საწყობები ჰქონიათ. დოქტ. ნოიჰაუზი კარგად იცნობს გეორგ ბრანდესსა და იოჰანას იენსენს, იგი დარწმუნებულია, რომ ისინი რომ ინახულოს კაცმა, ორივე სიმპატიურ წერილებს დანერგენ კოპენჰაგენურ გაზეთ „პოლიტიკენში“ საქართველოს შესახებ, რომლის მუდმივი თანამშრომლებიც არიან. თუ თქვენ მისწერთ იაზონს, მე ვფიქრობ ამ გზით ძლიერ იაფი დაჯდება მგზავრობა. თუ ცოტაოდენი დახმარება მომცა საელჩომ, მე წასვლას აუცილებლად მოვახერხებ, რაც არ უნდა გამიჭირდეს.

ველი თქვენგან პასუხს იაზონის საშუალებით.

მიიღეთ ჩემი უალრესი პატივისცემა და სალამი

მარად თქვენი პატივისცემელი კონსტანტინე გამსახურდია

P.S. იმედია ამ წერილში მდებარე მოწმობას განათლების სამინისტროსას, აგრეთვე, ბ. ი. ბაქრაძეს გადაუგზავნით ჩემ გადასაცემად.

კ. გ." [3, 38-39].

კონსტანტინე გამსახურდია სამშობლოში მართლაც გამოემგზავრა ლტოლვილების გემით. მთავრობის და პირადად აკაკი ჩხენკელის დამსახურებაც იყო, რომ ის გემზე უბრალო მგზავრი კი არა, როგორც თანამშრომელი, ისე იმყოფებოდა და ამისთვის ხელფასიც ჰქონდა. ეს გემი იყო „კრისტიან ნებე“, რომლის შოვნაშიც მწერალმა გარკვეული როლი ითამაშა თავისი ევროპელი ნაცნობ-მეგობრების

დახმარებით. გემის გამომგზავრებისა და ეკიპაჟისა და მგზავრების შემადგენლობის ისტორიას კარგად გადმოგვცემს ბერლინში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რწმუნებულის – ვლადიმერ ახმეტელაშვილის პირადინერილი-ანგარიში აკაკი ჩხენკელისადმი [4, 145]. გემის კაპიტანი და ადმინისტრაცია გერმანელები იყვნენ.

ვფიქრობ, ამ წერილებს, როგორც გამოუქვეყნებელსა და მკითხველისათვის უცნობ მასალას, გარკვეული მნიშვნელობა აქვს დიდი მწერლის ბიოგრაფიისათვის. მასში ბევრი საინტერესო დეტალია, რაც შეაფასებს კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის მატრიანეს.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წელი, №№ 231, 232, 233, 234;
2. დოდო ჭუმბურიძე, განათლება 1918-1921 წლებში, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2000.
3. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 52.
4. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწ. 2, საქმე 180.

Dodo Chumburidze

Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhi-shvili Tbilisi State University, Ivane Javakhi-shvili Institute of History and Ethnology, Chief Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

Three Letters of Konstantine Gamsakhurdia to Akaki Chkhenkeli (1919)

Summary

In June 1918 Georgian writer Konstantine Gamsakhurdia left for Germany. He defended doctoral thesis at the University of Berlin. In Germany, Gamsakhurdia propagated Georgian culture, he studied experiences of the German education system. In his letters, which Gamsakhurdia sent to the Ambassador of Georgia to Europe – Akaki Chkhenkeli, is narrated about his work in Germany.